

“-----“ ----- 2019 წ.

საქართველოს სენიორთა ჩემპიონატი კაცთა და ქალთა შორის  
30 იანვარი - 6 თებერვალი, 2020 წ. ქ. თბილისი, ჭადრაკის სასახლე

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 1. ორგანიზატორი:

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.

### 2. ჩატარების ვადები და ადგილი:

30.01-06.02. 2020 წ. ქ. თბილისი, ჭადრაკის სასახლე, კოსტავას 37 ა.

### 3. მონაწილენი:

ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ 1971 წლის 1 იანვრამდე დაბადებულ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრ კაცებს და ქალებს.

სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.

### 4. სისტემა და კვალიფიკაცია:

- ტურნირი ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარიული სისტემით 7 ტურად.

- აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორი.

### 5. დროის კონტროლი:

ყოველ პარტიაზე თითოეულ მონაწილეს მიეცემა 90 წუთი 40 სვლაზე, შემდეგ 30 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე (პირველი სვლიდან) 30 წამის დამატებით.

### 6. რეგისტრაცია:

მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა წარმოადგინონ ან გადმოაგზავნონ პირადობის მოწმობის ასლი, 2020 წლის 30 იანვრის 18.00 საათამდე:

ნატა ალავიძე: -ელ-ფოსტა - n.alavidze64@gmail.com მობ: 558 11 86 83

რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

### 7. თაი – ბრეიჯი:

ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობით;
5. მოგებების მეტი რაოდენობით.

წრიული ტურნირის შემთხვევაში:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. მოგებების მეტი რაოდენობით;
3. ზონებორნ-ბერგერი;
4. კოიას სისტემა.

**8. ტურნირის განრიგი:**

ტური	რიცხვი	საათი
ჩამოსვლის დღე	30 იანვარი	
I ტურის კენჭისყრა	31 იანვარი	14:00
გახსნა		15:00
I ტური		15:00
II ტური	1 თებერვალი	15:00
III ტური	2 თებერვალი	15:00
IV ტური	3 თებერვალი	15:00
V ტური	4 თებერვალი	15:00
VI ტური	5 თებერვალი	15:00
VII ტური	6 თებერვალი	15:00
დახურვა	6 თებერვალი	18:00

მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით ორგანიზატორი უფლებამოსილია, ტურნირის დაწყების დროის (საათი) შესაბამისი კორექტირება მოახდინოს.

**9. პრიზები: საპრიზო ფონდია 2000 ლარი.**

ადგილი	კაცები	ქალები
1	500	500
2	300	300
3	200	200

- თანაბარი ქულების შემთხვევაში პრიზები არ გაიყოფა.
- პრიზები იბეგრება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

**10. დაჯილდოება:**

- 1 ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან თასებით, მედლებით და დიპლომებით.
- 2-3 ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან მედლებით და დიპლომებით.
- 1 ადგილზე გასული მოჭადრაკეები მიიღებენ 2020 წლის მსოფლიო სენიორთა ჩემპიონატის საგზურებს.
- სამეულში გასულ მოჭადრაკეებს უფლება ეძლევათ საკუთარი ხარჯებით მონაწილეობა მიიღონ ევროპის და მსოფლიოს სენიორთა ჩემპიონატებში.
- 1 ადგილზე გასულ მოჭადრაკეებს მიენიჭებათ სპორტის ეროვნული ოსტატის წოდება.
- 2-3 ადგილებზე გასულ მოჭადრაკეებს მიენიჭებათ სპორტის ეროვნული ოსტატობის კანდიდატის წოდება.

**11. საერთო წესები:**

- ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.
- ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 30 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში, რომელიც არჩეული იქნება ტურნირის გახსნის ცერემონიაზე.  
მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 20 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.
- არასაპატიო მიზეზით ტურნირის მიტოვების შემთხვევაში მონაწილე დისკვალიფიცირებული იქნება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანების (№10. 20/01/2014 წ.) შესაბამისად.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - დათო კოდუა  
მთავარი მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი - მარგალიტა თანდაშვილი